



454/4-1/22 2 20012022

454/4-1/22  
20-01-2022

შემოსავლების სამსახურის უფროსს  
ბატონ ლევან კაკავას

ბატონო ლევან,

მოგესენებათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 29 მაისს (N4616-III) მიღებული კანონით „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსის 188-ე და 194-ე მუხლებში, რომლებითაც გაიზარდა აქციზის გადასახადის განაკვეთები მარჯვენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილებისა და 8703 სასაქონლო კოდით გათვალისწინებული მარჯვენასაჭიანი ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისთვის. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ამოქმედდა 2019 წლის 1 ივნისიდან.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე, ანუ **2017 წლის 30 ივნისიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით** საქართველოში იმპორტირებული მარჯვენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილებისა და 8703 სასაქონლო კოდით გათვალისწინებული მარჯვენასაჭიანი ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესახებ წლების მიხედვით;

- აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ, ანუ **2019 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 20 იანვრის** ჩათვლით საქართველოში იმპორტირებული მარჯვენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილებისა და 8703 სასაქონლო კოდით გათვალისწინებული მარჯვენასაჭიანი ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ნინო წილოსანი



**შემოსავლების  
სამსახური**

თბილისი 0160, მ. კოსტავას №68ა  
/ ს.ჩიქოვანის №2  
ტელ: +995 (32) 226 21 40  
ელ. ფოსტა: info@rs.ge  
ვებ საიტი: www.rs.ge

**მომსახურების დეპარტამენტი**

7154-21-11-2-202201271542

N 21-11/7154



<https://edoc.mof.ge/public/#/>

27/01/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ქალბატონ ნინო წილოსანს

თქვენი 2022 წლის 20 იანვრის N454/4-1/22 (რეგ.8761/21; 20.01.2022) წერილის პასუხად, შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების ელექტრონულ საინფორმაციო სისტემისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული ბაზების მიხედვით, გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციას 30.06.2017-20.01.2022წწ. პერიოდზე იმპორტირებული სეს ესნ - ის 870340-870380 სასაქონლო კოდებით კლასიფიცირებული მარჯვენასაჭიანი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

დანართი .xlsx ფაილი

პატივისცემით,

ლევან დგებუაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი



ინფორმაცია 30.06.2017-30.06.2019 წ.წ. და 01.06.2019-22.01.2022 წ.წ. იმპორტირებული მარჯვენა  
საჭიანი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ

სეს ესნ	30.06.2017-30.06.2019			01.06.2019-20.01.2022			
	2017 (30.06-31.12)	2018	2019 (01.01-30.06)	2019 (01.06-31.12)	2020	2021	2022
870340	1,143	4,576	1,738	1,797	2,381	2,468	37
870350						8	
870360		3	2		3		
870370		1					
870380	400	418	242	111	32	11	
<b>სულ</b>	<b>1,543</b>	<b>4,998</b>	<b>1,982</b>	<b>1,908</b>	<b>2,416</b>	<b>2,487</b>	<b>37</b>

#241 ბრძანება "I

8703 40 000 00
8703 50 000 00
8703 60 000 00
8703 70 000 00
8703 80 000 00

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების  
თაობაზე"

<p>- სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან როგორც ნაპერწკლოვანი ანთების შიგაწვის ძრავით, დგუშის უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით, ასევე ელექტრო ძრავით, იმ ელექტრო ძრავების გარდა, რომლებიც იმუხტებიან გარე ელექტროენერჯის წყაროსთან მიერთებით</p>
<p>- სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან როგორც დგუშიანი შიგაწვის ძრავით შეკუმშვით აალებადი (დიზელით ან ნახევარდიზელით), ასევე ელექტრო ძრავით, იმ ელექტრო ძრავების გარდა, რომლებიც იმუხტებიან გარე ელექტრო ენერჯის წყაროსთან მიერთებით</p>
<p>- სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან როგორც ნაპერწკლოვანი ანთების შიგაწვის ძრავით, დგუშის უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით, ასევე ელექტრო ძრავით, რომლებიც შესაძლებელია დაიმუხტოს გარე ელექტრო ენერჯის წყაროსთან მიერთებითაც</p>
<p>- სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან როგორც დგუშიანი შიგაწვის ძრავით შეკუმშვით აალებადი (დიზელით ან ნახევარდიზელით), ასევე ელექტრო ძრავით, რომლებიც შესაძლებელია დაიმუხტოს გარე ელექტრო ენერჯის წყაროსთან მიერთებითაც</p>
<p>- სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან მხოლოდ ელექტრო ძრავის მეშვეობით</p>